საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება№ 01-02/13

25 იანვარი, 2022 წელი ქ. ბათუმი

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების (ამავე ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 მარტის №07/ნ ბრძანების), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' მე-10 მუხლის, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, ,,2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 იანვრის № 1.1/1 ბრძანების, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უმაღლესი განათლების პროექტის მართვის მენეჯერის წერილის (MES 8 22 0000019513წ, 13/01/2022 წ), 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის N06-01/01 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის **(შიდა მობილობის)** და სტატუსშეჩერებული პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის განისაზღვროს შიდა მობილობის შემდეგი ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2022 წლის 17,18, 21, 22 და 23 თებერვლის ჩათვლით (15:00 სთ-მდე) – (მიიღება ელექტრონულად, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე Chancellery@bsu.edu.ge);

ბ) ბსუ-ს ფაკულტეტის მიერ მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება (თავსებადობის დასკვნების შედგენა) - 2022 წლის 24 და 25 თებერვალი;

გ) კრედიტების აღიარების (თავსებადობის დასკვნაზე) მობილობის მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2022 წლის 1, 2, 3 და 4 მარტი;
დ) ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა (სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნა) - 2022 წლის 11 მარტი.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 მარტის №07/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და შემდგომ ჩარიცხული პირებისათვის, მობილობის წესით მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ცხადდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი ჩასაბარებელი საგნების მიხედვით ისე, როგორც ეს განსაზღვრულია სწავლის სფეროების მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების მიზნებისათვის.
3. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა.
4. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს შიდა მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.
5. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს შიდა მობილობის პროცესის დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელება, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტთა დაშვება საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელდეს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით).
6. ბრძანება საჯარო გამოცხადებისათვის განთავსდეს ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), სამეცნიერო კვლევების სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**